

## მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

### ახალციხე-ბათუმის 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშსა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტზე

30 ივნისი, 2014 წ.

#### 1. პროექტის აღწერა

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) საქართველოს მთავრობის დავალებით, გეგმავს ახალციხისა და ბათუმის ქვესადგურების დამაკავშირებელი ახალციხე-ბათუმის ორჯაჭვიანი 220-კილოვოლტიანი ელექტრო-გადამცემი ხაზის პროექტის განხორციელებას. პროექტის მიზანია, ქვეყნის ელექტროგადამცემი სისტემისა და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის გამანაწილებელი ქსელის გაუმჯობესება; პროექტის განხორციელება დაგეგმილია მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი 60 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხით<sup>1</sup>. პროექტის საშუალებით იგეგმება, ასევე, მდინარე აჭარისწყალზე დაგეგმილი 185 მგვტ-იანი შუახევის და 150 მგვტ-იანი კორომხეთის ჰესების გამანაწილებელ ქსელთან მიერთებაც.

საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზი გადაკვეთს ახალციხის, ადიგენის, ხულოს, შუახევის, ქედასა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში შემავალი სოფლებისა<sup>2</sup> და ასევე ქ. ბათუმის ტერიტორიას.

გადამცემი ხაზის დაგეგმილი მარშრუტი, პრაქტიკულად, მისდევს დიდი მდინარეების ხეობებს, სადაც მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილია თავმოყრილი. ბეშუმის აღმოსავლეთით, დაგეგმილი დერეფანი, 11 კმ სიგრძის მონაკვეთზე, ემთხვევა არსებულ, 110 კვ ადიგენი-ბეშუმის გადამცემი ხაზის დერეფანს; ბეშუმის სამთო-სათხილამურო კურორტის მიდამოებში კვეთს მაღალმთიან ტერიტორიას, ჩადის მდ. სხალთის ხეობაში და მიუყვება მდინარე აჭარისწყლის შესართავამდე, შემდეგ დერეფანი მისდევს მდ. აჭარისწყლის ხეობას, კერძოდ, ქ. ბათუმამდე მიმავალ მთავარ გზას და უერთდება ხელვაჩაურის არსებულ ქვესადგურს.

ელექტროგადამცემი ხაზის საბოლოო საინჟინრო პროექტი მომზადებული იქნება მარშრუტის, გეოტექნიკური და საკადასტრო კვლევების, ანძების განთავსების უბნების შერჩევისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შედეგების საფუძველზე.

<sup>1</sup> იხ. <http://www.worldbank.org/projects/P147348?lang=en>

<sup>2</sup> ახალციხის მუნიციპალიტეტში: მუგარეთი, ფერსა, გიორგინინდა, წყნეთი ბენარა; ადიგენის მუნიციპალიტეტში: კახარეთის საზაფხულო სადგომები, არლის საზაფხულო სადგომები; ხულოს მუნიციპალიტეტში: კვატია, ზაგარდანი, ნაბლანა, გურძალი, ძმაგული; შუახევის მუნიციპალიტეტში: შუახევი, სიჭაური; ქედის მუნიციპალიტეტში: დანდალო, ტაკიძეები, გოგიაშვილები, კოკოტაური, ახო, ქედა, ცხენა, კორომხეთი, პირველი მასი, ქვედა ბზუბუ, მახუნციეთი; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში: აჭარისწყალი, ქვემო ჯოჯო, ხელვაჩაური.

მწვანე ალტერნატივას წინამდებარე შენიშვნები და კომენტარები მომზადებულია საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებულ, ახალციხე-ბათუმის 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშსა (შემდგომში - ბსგმ ანგარიში) და თანდართულ განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტზე.

## 1. პროექტის განხორციელების საჭიროების საკითხი

ბსგმ ანგარიშის ქვეთავები 3.1 „პროექტის საჭიროება“ და 4.1 „არქმედების ალტერნატივა“ ეძღვნება პროექტის საჭიროების დასაბუთებასა და პროექტის განხორციელებლობის მოსალოდნელ შედეგებს.

მიუხედავად ანგარიშის 3.1 თავში არსებული ჩანაწერისა, რომ „ახალი გადამცემი ხაზი უზრუნველყოფს რეგიონში ელექტროენერჯის უფრო სტაბილურ მიწოდებასა და გათიშვების შემცირებას“, პროექტის ძირითადი მიზანი, რეალურად, არის მდ. აჭარისწყლის ჰესების კასკადის ენერგოსისტემასთან მიერთება, რაც დასტურდება ანგარიშის 4.1 თავში მოცემული ჩანაწერით, რომლის მიხედვით, დაგეგმილი ელექტროგადამცემი ხაზების გარეშე, შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ და საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემა ვერ შეძლებენ აჭარისწყლის ჰესების კასკადის (შუახევი ჰესი, კორომხეთი ჰესი) მიერ გამოშვებული ელექტროენერჯის მიწოდებას ენერგოსისტემისთვის: „ამგვარად ახალციხე-ბათუმის 220 კვ გადამცემი ხაზის დაგეგმილი პროექტის არაქმედების ალტერნატივის შედეგები მხოლოდ აჭარისწყლის ჰესების კასკადის პროექტის არაქმედების ალტერნატივასთან კავშირში უნდა განიხილებოდეს“, ხოლო ვინაიდან ამ ჰესების მშენებლობაზე გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, ელექტროგადამცემი ხაზების მონყობაც გარდაუვალია, „რადგან ეგზ ჰესების განუყოფელი ატრიბუტია“.

აღნიშნული ჩანაწერიდან ნათელია, რომ 61 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ახალციხე-ბათუმის 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა აჭარისწყლის ჰესების კასკადის პროექტის შემადგენელი ნაწილია, რომლის განხორციელება თავის თავზე აიღო სახელმწიფომ პროექტიდან (აჭარისწყლის ჰესების კასკადის პროექტი) ყოველგვარი დამატებითი სარგებლის/წილის მოთხოვნის გარეშე; ეს კი, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პროექტის მიზანშეწონილობას ქვეყნისთვის. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პროექტის განხორციელება იგეგმება მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი 60 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხის საშუალებით, რაც დამატებითი ტვირთია სახელმწიფოსთვის.

## 2. კომპენსაციის მიღების უფლება

პროექტის განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მე-4 თავი ეძღვნება კომპენსაციის მიღებასა და საკომპენსაციო პაკეტს.

დოკუმენტის 4.1 „კომპენსაციის მიღების უფლება“ თავში განსაზღვრულია ადგილმონაცვლე პირების კატეგორიები, რომლებსაც ექნებათ პროექტის ფარგლებში კომპენსაციის ან დამატებითი შემწეობის მიღების უფლება. მისასალმებელია, რომ დოკუმენტში, მინაშე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებთან ერთად, მოხსენიებულია ჩვეულებითი უფლების მქონე პირებიც, რომელთაც ექნებათ მინაშე

კომპენსაციის ან დამატებითი შემწეობების მიღების უფლება; თუმცა, მოგვიანებით, მიწის კომპენსაციის დადგენილ წესში, აღნიშნული კატეგორიის პირები, რატომღაც, გაიგიავებულნი არიან დაურეგისტრირებელ მესაკუთრეების იმ კატეგორიასთან, რომელთაც არ აქვთ ფორმალური კანონიერი უფლება მიწაზე, მაგრამ აქვთ მოთხოვნა (პრეტენზია) მიწაზე ან ქონებაზე, თუ ქვეყნის კანონმდებლობა აღიარებს ასეთ მოთხოვნას. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ აღიარებს მიწის ფლობაზე ტრადიციულ ან ჩვეულებით უფლებას, ამ კატეგორიაში ვერ მოხვდებიან ის პირები, რომლებსაც, შესაძლოა, არ გააჩნდეთ ოფიციალური დოკუმენტაცია და არც საბჭოთა კავშირის დროს მიწის ნაკვეთის კანონიერი მოიჯარეები იყვნენ, თუმცა ისინი ტრადიციულად ფლობდნენ და იყენებდნენ მიწას. აღნიშნული კი, მსოფლიო ბანკის 4.12 პოლიტიკის მოთხოვნების უხეში დარღვევაა.

მსოფლიო ბანკის 4.12 პოლიტიკის თანახმად, მიწაზე კომპენსაცია უნდა მიიღონ იმ პირებმაც, რომელთა მოთხოვნის აღიარება მოხდება განსახლების გეგმაში განსაზღვრული პროცესის შესაბამისად, ხოლო აღიარებად მოთხოვნად კი ითვლება ისეთი მოთხოვნა, რომელიც შეიძლება ეფუძნებოდეს პირის მიერ სახელმწიფო ხანგძლივი პერიოდის განმავლობაში მიწის ფლობას და მიწით სარგებლობას, ჩვეულებითი და ტრადიციული სამართლის შესაბამისად. განსახლების დოკუმენტში განსაზღვრული მიწის კომპენსაციისთვის დადგენილი წესი კი, ასეთ შესაძლებლობას გამორიცხავს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მსგავსი საკითხი ძალიან კარგად არის დარეგულირებული ნორვეგიული კომპანია „ქლინ ენერჯი ინვესტის“ მიერ ამავე რეგიონში დაგეგმილი შუახევი ჰესის პროექტის შემთხვევაში, როდესაც ნორვეგიულმა კომპანიამ გადაწყვიტა თანაბრად გაეცა კომპენსაციები არამართო ქონების რეგისტრირებულ მფლობელებზე, არამედ მიწების იმ მფლობელებზეც, რომელთაც არ გააჩნდათ საკუთრების დამადასტურებელი რაიმე საბუთი მიწაზე, თუმცა ტრადიციულად ეს ოჯახები იყენებდნენ აღნიშნულ მიწას. კომპანიისთვის ტრადიციული საკუთრების დასადგენად საკმარისი იყო ადგილობრივ მოსახლეს კომპანიაში წარმოედგინა მეზობლების ხელმოწერა მიწის კუთვნილებაზე.

შესაბამისად, აუცილებელია, მიწის კომპენსაციისთვის დადგენილი წესში ნათლად გაიწეროს და ჩამოყალიბდეს ჩვეულებითი და ტრადიციული უფლების აღიარების პრინციპები და გამოყენებულ იქნას ამ საკითხში ამავე რეგიონში დაგეგმილი შუახევი ჰესის პროექტის გამოცდილება.

### 3. საზოგადოებრივი კონსულტაციები და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

მსოფლიო ბანკის ინფორმაციის გავრცელების პოლიტიკისა და ასევე, მსოფლიო ბანკის გარემოზე ზემოქმედების პოლიტიკის (O.P.4.1)) თანახმად, A კატეგორიის პროექტებისათვის მნიშვნელოვანია სრულფასოვანი კონსულტაციების წარმართვა, რომელიც გრძელდება 120 დღე, გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტაციის გამოქვეყნების შემდეგ. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, სხვა დოკუმენტებთან ერთად, უნდა იყოს ხელმისაწვდომი, როგორც დაზარალებული მოსახლეობისათვის, ისე სამოქალაქო საზოგადოებისათვის.

ბსგმ ანგარიშის მე-10 თავის მიხედვით, 2014 წლის 20 და 24 მარტს ქ. თბილისსა და ბათუმში გაიმართა ახალციხე-ბათუმის 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის ბსგმ ანგარიშისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტზე საჯარო კონსულტაციების ბოლო რაუნდი. იმის გათვალისწინებით რომ 2014 წლის 19

მაისს გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნდა განცხადება აღნიშნული პროექტის ბსგმპ ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ, რომელიც გაიმართება 2014 წლის 8-10 ივლისს საპროექტო დერეფანში არსებულ მუნიციპალიტეტებში, ანგარიშში გაკეთებული ჩანაწერი საჯარო კონსულტაციების ბოლო რაუნდთან დაკავშირებით, გაუგებარია.

ყურადსაღებია, რომ პროექტის ბსგმპ ანგარიშის მიხედვით<sup>3</sup>, დოკუმენტის ბოლო სამუშაო ვერსია მომზადდა 2014 წლის 28 მარტს, ხოლო საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ვებ-გვერდზე აღნიშნული დოკუმენტი დაიდო 2014 წლის 4 აპრილს, შესაბამისად, 120-დღიანი კონსულტაციების პერიოდი მოიცავს 2014 წლის 4 აპრილი - 3 აგვისტომდე პერიოდს. აქედან გამომდინარე, შენიშვნების მიღების ბოლო ვადა არ შეიძლება იყოს გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებული 2014 წლის 3 ივლისი.

ამასთან, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ პროექტის ბსგმპ ანგარიშის ელექტრონული ვერსია, რაც პროექტის გაცნობის შესაძლებლობას უზღუდავს სოფლად მაცხოვრებელ ადგილობრივ მოსახლეობას. ამდენად, აუცილებელია, ბსგმპ ანგარიშის ბეჭდური ვერსია და პროექტის საინფორმაციო დოკუმენტი ხელმისაწვდომი იყოს როგორც ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში, ასევე დარიგდეს საპროექტო არეალში მოქცეულ სოფლებში.

#### 4. მოსახლეობის ჩართულობა

2014 წლის ივნისში “მწვანე ალტერნატივას” სავლეე გასვლები ჰქონდა პროექტის შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მყოფ სოფლებში (კვატია, ზაგარდანი, ნაბლანა, გურძალი, შუახევი, ხიჭაური, კოკოტაური, ქედა, აჭარისწყალი, ქვემო ჯოჯო, ხელვაჩაური). ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ პროექტის შესახებ ისინი ფლობდნენ ძალზე ზოგად ინფორმაციას; ხოლო ინფორმაცია 2014 წლის 8-10 ივლისს დაგეგმილი საჯარო განხილვების შესახებ, არ ჰქონდათ; შესაბამისად, არც პროექტთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას ფლობდნენ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ინფორმაციას დაგეგმილი საჯარო განხილვების შესახებ არ ფლობდნენ არც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მუნიციპალიტეტებში (ხულო, ქედა, შუახევი, ხელვაჩაური).

ყურადსაღებია, რომ ვინაიდან, გადამცემი ხაზის პროექტი პირდაპირ და ირიბ ზემოქმედებას ახდენს ამ სოფლებზე, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა გამოთქვა საჯარო განხილვებში აქტიური მონაწილეობის სურვილი.

ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ პროექტის განმახორციელებელი სათანადოდ არ უდგება მსოფლიო ბანკის მოთხოვნებს მოსახლეობის ინფორმირებულობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართვასთან დაკავშირებით; მის მიერ გადადგმული ნაბიჯები არ არის საკმარისი (განცხადების გამოქვეყნება გაზეთ „24 საათში“, დოკუმენტების მხოლოდ ელექტრონული ვერსიის განთავსება ვებ-გვერდზე) მოსახლეობის ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართვის უზრუნველსაყოფად.

<sup>3</sup> იხ. <http://www.gse.com.ge/new/?p=1751>